პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე




№ 30 პარასკევი, 1 იანვარი, 1926 წელი. № 30



მისი უდიდებულესობა პროლეტარი სრულიად რუსეთისა.

(ეს კარიკატურა დახატული იყო 1905 წ. „...ის ჩაცმით!

...ლობენო!
...ნა:
...ეითონ არ ძრის...

ემიგრანტ — მენშევიკებს
„აქაც მყრალი ხალხი იყო,
იქ ნათელი დაადგესა!“
...ო!

# ჩვენი საახალწლო პარტანგარიში

„მტკიცე, აქტიური ბალანსით მივდივართ წინ!“
პარტურილობაზე ცეკას ანგარიშებიდან.

I.

...და გადავფურცლეთ ანგარიშები.
(ო, ეს არ გახლავთ უძვლო ბებია!)
და ავეცანით: ერთ წელიწადში
კომპარტიას რა უკეთებია.

შემოსავალი: გაზრდა პარტიის
როგორაც რიცხვით, ისე თვისებით:
—კომკავშირული მოძრავი თანხით
და პიონერულ ანარიცხებით!

საქმიანობა ცხოველმყოფელი,
ნება—ფოლადზე დღეს უ აგრესი.
მრავალი წვრილი ქარხ ები სოფლად,
ხოლო ტფილისში — დიდი ზაჰესი!

წარსულის ბნელი ელექტრომ მოსპო,
გამონათება შუქმა ინება,
ახლო ხანში კი — ელექტროს სხივით
ყოველი კუთხე მოიფინება!

გლეხებს სავსებით ეძლევათ მიწა,
მემამულეებს კი—პირ ში ჩალა!
სწორედ ამიტომ წუწუნებს ბევრი.
ქვეყნის მეტხორცი და მაჩანჩალა!

მართალი არის—წუპაკი მტერი
ჩვენს დანგრევაზე ბევრ ჭორებს ა ხევს,
მაგრამ თვალი არ აქვს ნაშენ-აღდგე-
ნილს,
ჩვენგან გაყვანილ სოფლებში არხებს.

როდესაც ხედავს ღარიბი გლეხი
სოფლად ნაკეთებ გზებსა და ხიდებს—
პირჯვარს არ იწერს, მაგრამ გულ-
წრფელად
ხელისუფლებას თვისას ადიდებს!

კარგა საგრძნობლად დაეტყო გაზრდა
ფაბრიკა-ქარხნის მუშათა ხელფასს:
—სწორედ ამიტომ ღრინავენ მტრები
და არ იშლიან უკბილო ყეფას!

სწავლის სურვილი მუშა და გლეხში
დღეს იმზომ დიდი, იმოტოლაა,
—მასწავლებლები, რომ იყვნ უწინ
იმდენი ეხლა ჩვენში სკოლაა.

აქა-იქ რჩენილ მენშევიკებსაც
უკანასკნელი მოაკლდათ ძალა:
—თერთმეტ ათასის ჩვენთან გად-
მოსვლამ
ნოეს დავთრები მთლად აურალა!

საქართველოში დღეს მენშევიკურს
არ აქვთ წინა სტუმრებს და
მდგმურებს:
მღვდელ-ლომს საბჭოებისას
ძმურებს.
საქართველოს

მათ საზღვარ-გარეთ გადაიტანეს
დონკიხოტური თავისი „ბრძოლა“:
—ბედმა „შავბედმა“ უბედო ხალხი
საზღვარის იქით გადაისროლა!

როგორც ველოდით:—დღეს მენშე-
ვიზმი
გამოდგა მართლაც სრულიად უძვლო:
—სწორედ ამიტომ სულის შებერვას
კომუნიზმისას მან ვერ გაუძლო!

სოციალიზმის მაღალ მწვერვალებს
ვუახლოვდებით მისკენ მავალი!
აი, ეს არის ჩვენი პარტიის
აქტივი, ანუ შემოსავალი!

II.

ეხლა გსურთ ალბათ ისიც გაიგოთ
და გადავლოთ იმასაც თვალი
—თუ რა ციფრებში გამოხატულა
ჩვენი პასივი და გასავალი!

წითელი ცოცხით ვგავიდით ყოველგან
მავნე ორფეხთა ბინებს და თაილებს:
—პანლურამოკრულ მემამულესთან
ღვდლებიც ბიბრეკ თავს მიაჩანჩალებს!

მუშის და გლეხის ამ ყოფილ მტერებს
აწ ჩვენი რისხვის დაეცათ ელდა:
—ბევრგან თავლები ამ ორფეხთაგან
თითქმის სავსებით დაცალიერდა!

ქარმა წაიღო საკურთხის საქმე,
მას უკან გაჰყვა ცნობილი „დრამა“:
—ღვდელ-დიაკონმა სულის ცხონებით
ჩვენში ვეღარავინ ვეღარ მოჭრთამა!

ვაჰრებს ფერდები გამოუქაას
—„უკრედიტობის“ ძმიმე „სახადმა“:
—ხოლო გული კი... ეშმაკის ნაცვლად
მსხვერპლად ჩირთვა გადასახადმა.

მენშევიკთაგან ვინც დარჩა კიდევ—
ისიც იმსხვერპლა „უამინდობამ“:
—ასე ყოფილა ბედი ამ ხალხის
თუმც გეფიცები „მჭყეპია“—ძმობამ!

გარდაიხწევა ჩვენგან სიძვირეც,
კარგა გაეფდა ცხოვრება ძვირი,
მძიმე კურტანით შეალამაზეს
სპეკულიაციის უძლები ვირი!

„სამწუხაროა“—მაგრამ რას იზამთ?
—კანონს მაგარი ქონია ხელი:
და დაუნდობლათ მიჰყავს ციხეში
ბევრი მევახშე და გამფლანგველი.

ბევრ „ჩინოვნიკსაც“ არ მოერიდენ,
და რომ შეჭამეს ორიოდ გროში:
—მყის თავი უკრეს ჩინოვნიკური
და... მიაბრძანეს „თბილ აბანოში!“

სილარიბემაც დაგვიკრა თავი
— ია და ვარდი ძის გზას ჰფენია!
და გლეხს პურსა და კაი ღვინოზე
დღეს ბევრგან კარგად მოულხენია.

და ერთი სიტყვით:—ყველგან, ყვე-
ლასთან
ჩვენ გავახალდეთ წელს ჩვენი ალი!
აი, ეს გახლავთ ჩვენი ბალანსის
მთელი პასივი და გასავალი!

III.

ბევრი რამაა კვლავ საზრუნავი,
სინამდვილის წინ არ ვხუჭავთ თვა-
ლებს,
მაგრამ ხალი და მტკიცე ნაბიჯით
მალე მივაღწევთ ლტოლვის მწვე-
რვალებს!

უჩარდია.



# „ცოცხალი ეკლესია“



— ვილაც კი მოვა დღეს მაინც
როგორც ახალსა წელსაო!
დამპატიჟებენ გავძღები
და გავიმართავ წელსაო—

ასე ფიქრობდა ბართლომე
საყდრისკენ მიმავალია.
გაძღომის სიხარულისგან
ავანსათ იყო მთვრალია.

შევიდა... ლოცვა დაიწყო...
მაგრამ არავინ არ მოდის.
თურმე სუყველა მომხრეა
ახალი წესის და „მოდის“.

გაბრაზებული ბართლომე
ეკლესიიდან გამოდის,
ზარებს რეკს მთელი ძალლონით,
მაგრამ არავინ არ მოდის.

ხედავს, რომ ხალხი იქ მიდის
სადაც კლუბი და თეატრია...
არავის არ ჰქონებია
„მამა“ ბართლომეს ხათრია.

„ყურუთათვის“ ორჯერ არ რეკენ,
ეს კაცი კი რეკს ამდენსა...
ნუ თუ ამხი სიცოდე
ცრემლს ამის ალარ ადენსა?!

## საახალწლო გოზინაყი

**საზოგადოება „შშო“-ს**

დანიშნულება „შშო“ სი
როგორც გადმოგვცეს ორია:
—ნოპოს არ ცოდნა საქმისა
და [illegible]ონარობის შორია.

**კოოპერაციას**

—შუშანია, გვრიტინია.
აწილია, ბაწილია:
სთქვით:—ლენინიზმს და თქვენ
შორის
კვლავ რამდენი მანძილია?

**ზაკკნიგას**

აქაც, იქაც, ფიგარო ხარ
რუსთაველის პროსპექტისა:
—რომ მრავლდება „ატდელები“,
ხომ არ იკლებს ამით ქისა?

**ქალაქის აღმასკომს**

—კაცი წაიქცა. რისი ბრალია:
კაცია კოჭლი თუ... ქუჩა სტყუა?

**დურუჯელებს**

ნეტავი რადიე მაქცია,
დურუჯათ გაღამაქცია.
დურუჯის ენა მასწავლა,
რუსთაველს შემომაჩვია,
მაშინ იენება გამეგო:
—ყველა ლომი თუ... არჩვია!

**ფუტურისტებს**

მოილოგინა მთვარემა.
ვაჟი ეყოლა მზესაცო.
—იმე, ეგ რავა იქნება?
—რატომ არ გჯერა შე კაცო!

**დადაისტებს**

სიიიი.... სუუუ...
ლეეე... ლეეე....
სსს... უუუ!

**ქართულ აბრებს**

იწერება:
„ოტგრუზგოსტორგ“
იკითხება:
„ვაი ჰკუისაგან!“

**ჩოხოსანთა ორდენს**

მოლამ სთქვა:
—ჩოხ.ს მასპინძლობენო!
ჰკვიანმა ასე დასძინა:
—თუ კაცი თვითონ არ არის...
ცუდია ჩოხის ჩაცმაო!

**ემიგრანტ—მენშევიკებს**

„აქაც მყრალი ხალხი იყო,
იქ ნათელი დაადგესა!“




### ემიგრანტ ,,ეროვნულებს‘‘

ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე
კვლავ მოევლინა სოფელსა,
კირილე ჰკოცნის კედიას
სათვალე უქეს რომელსა.

### ფედერალისტებს

სისიკო, სისო, სი ონი
სამსონზე დაკერებული:
—ორი კაცისგან შესდგება
ეს საუცხოო კრებული!

### კახეთის რკინის გზას

ნათქვამია:—შორს მოუარე, თე-
ლავში დაუმთვრალი მიდიო.“

### ქალაქ ქუთაისს

რა ვქნა ჩემო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო,
—ხარბათ ხვრეპავ სვირის ღვი-
ნოს
მუცელი კი არ გაგივსო!

### ბათომს

ბოროტება შევიოტით
ბათუმშია ორი განი,
ემატება „ვიქტორია.“
და პუდრები „ლორიგანი.“

### ფოთს

ქალაქია ქველმოქმედი,
ღირსი არის მართლა ქების:
ყოველ ღამე უფასოა—
კონცერტები ბაყაყების!

ხულ ვმღერი, ვმღერი.

## ვისაც გინდათ უფასოთ მუშა და ტარტაროზი სამი თვით



აქ არის ხულ ხუთი რგოლი.

4—რგოლზე სათითაოთ არის ოთხ-ოთხი ასო.

1—რგოლზე არის ხუთი ა ო.

გამოხაცნობია შემდ გი:

უნდა დააწყოთ ეს რგოლები თავ-თავისი ასოებით ერთ-ი ერთმანეთზე ისე, როგორც ხურათშია ნაჩვენები.

ამასთანავე ეცადეთ რგოლების რიგი ისე შეხცვალოთ, რომ წაიკითხებოდეს ოთხი ხიტყვა, რომლებიც შეიცავს ერთ ლოზუნგს.

პირველ ხუთ გამომცნობს მიეცემა გაზეთი „მუშა“ და „ტარტაროზი‘‘ უფასოთ სამი თვის განმავლობაში.

იმის გამოსარკვევათ თუ ვინ როდის გამოიცნო ამოცანა, რედაქცია იხელმძღვანელებს წერილების კონვერტზე დასმულ ფოსტის ბეჭედით.

# აქაა ყველა თავმოყრილი



### ურეკენ!



სადგურ ნავთლუღში ამ ზარით ორჯელ მატარებელს ურეკენ, ხოლო ოცჯერ მეორე განყოფილების უფროსს, რომ მოსამსახურეთა შტატი გადასახალისებელი და გასადიდებელიაო, მაგრამ... მეორე განყოფილების უფროსს „ესმის რეკა, ხოლო არ იცის სად რეკენ!“ იქნება რკინის-გზის სამმართველომ ჩამორეკოს უყურადღებობის მტერი მეორე განყოფილების უფროსს!!.

**კოლოლი**

### „ვერ ვნახე დაკარგულიყო!“



დიდი ხანია ასეთ პატარა ბინას ეძებენ სადგ. შორაპნის მუშა-მოსამსახურენი საპარიკმახეროსათვის, მაგრამ ვერ მიაგნეს. ადმინისტრაციას მიაგნეს, მაგრამ შესრულება ვერ ნახეს.

**სარ ძაფელი**

### იუბილეს უცდიან.



მუშათა უბნების ახლო, რვა წელიწადია დაარსდა „ახალი ბაზარი“, მაგრამ დღემდი უყურადღებოთ არის მიტოვებული:-გაუვალი ტლაპო სდგას.

რა გვეშველება?

— არაფერი. ვიტყვით ჩვენ,— სადაც რვა წელიწადი იცადეს, ორიც მოიცადონ და ათი წელი გახდება... ოქტომბრის გასაბჭოებიდან, რომელიც „კაი“ ჯამს გაუკეთებს „ახალი ბაზრის“ მიმართ გაოჩენილ უსაქმურობას!

**ვაკისუბნელი.**

### ვის რა ჰამს.



საგნები, რომლებიც ზოგიერთ მუშას ეძლევა სპეცტანისამოსის გასაწმედათ, მაგრამ საპონს დიასახლისები „ჰამენ“, სპეცტანისამოსს წვირე ჰამს, ხოლო ჩოთქი ობისაგანაა გასაწმენდი.

**დ. ლ. ძ-ე.**

### კიდევ ერთი...




ავლაბარში, რომ კიდევ ერთი ასეთი აფთიაქი გახსნან, ავლაბრის, არსენალის და ნავთლუღის დაზღვეული მუშა-მოსამსახურენი, მართლაც დაზღვეული იქნებიან თავის დროზე წამლის მიღებით.

**ი. წ.**

### აუ, ისმინეთ!



ტრამვაის სახელოსნოს ქარხკომი ყოველგვარ ზომებს ღებულობდა შრომის და ჯვისა და კულტკომისიის ასამუშავებლად, მაგრამ ზომები ყოველთვის უშედეგოთ რჩებოდა.

კომი იებს ყურში ბამბა აქვს გაკეთებული:

საჭიროა-რულარც ქარხკომი ეკვეტება ამ ბამბაგაკეთებულ კომისიებს და ისინი სხვაგან შეაკვეტოს.

აი, თუნდა უსაქმურთა თავშესაფარში.

**კავშირელი.**

### მელია კუდიგძელია.



უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით შრომის კომისარიატმა ელისაბედის ქუჩაზე გახსნა სასადილო № 2.

ამ სასადილოში გაიძვერა მელა მაკედონსკი ჯერ გამგეთ შეძვრა და შემდეგ... პატრონათ!

ყოველ შემთხვევაში ამ მელიას ხვრელი ფართო უნახავს, მაგრამ ვაი თუ ისიც მონახოს... მუშათა და გლეხთა ინსპექციამ!

**შვიდი თანამშრომელი.**

### ბინას ეძებს, იქნებ მოუნახონ!



ყოველ ღამ ამ ჩაქუჩით ურაკუნებს სახლის პატრონი იოსებ გვეტაძე მოსკოვის ქ. № 18 თავის მდგმურებს და უშლის მათ ძილს, რომ აიძულოს მდგმურები დასტოვონ მისი სახლი.

იქნებ ერთხელ ვაჰარმა გვეტაძემ ამ ჩაქუჩით... სატუსაღოს კარებსაც დაურაკუნოს, დარწმუნებული ვართ მას კარს გაუღებენ და ბინასაც დაუცლიან.

**შურდული.**

## როგორ გაიგო ?-მა




„ქალთა შორის მუშაობა“.

# სურათები ნახშირით

— ხალხო, კრებაა! ალმასკომში გვეძახის! დაუარა სოფელს მილიციონერმა.

გუგუნებს ხალხი. ვინ რას ლაპარაკობს და ვინ რას.

— ხალხო, დაწყნარდით, დამიგდეთ ყური! ყვირის თემალმასკომის თავმჯდომარე, რომელსაც გვერდით მღვდელი ამოდგომია.

— რაშია საქმე, რათ მოგვიყვანეთ? კითხულობს ზოგიერთი—ხალხიდან.

— ამხანაგებო, მამა ონოფრე უმაღლეს მთავრობაში ყოფილა. მთავრობა დაურწმუნებია, რომ ეკლესია ძალით დაკეტეს, თორემ ჩვენში მორწმუნე ბევრია. იქნებ მე ვსცდე ოდი, ეხლა კი თქვენ გეკითხებით: თამამათ თქვით—რომელია მორწმუნე და ვის სურს ეკლესია?

— არ გვსურს, არ გვინდა! ერთხმად შესძახეს სოფლელებმა.

— მამა და შვილო, თქვენ ეშმაკი შეგჯდომიათ. ვ ჯ[illegible]ით ეშმაკისაგან! მიმართა ხალხს ახლა თვით მამა ონოფრემ.

— ჩვენ [illegible] ვიჯმენით ეშმაკისაგან და შენც რომ მას გაჰყვებოდე უკან, კარგი იქნება!—წამოიძახა ერთმა გლეხმა.

— სწორია, სწორი! დაადასტურა წამოძახილი კრებამ.

— მამა და შვილო, ღმერთი ყველას ხედავს! განაგრძო ონოფრემ.

— მერე, რატო შენი გაიძვერობა ვერ დაინახა? ჰკითხა ვილაცამ.

— შვილებო, ღმერთი ყველგან არის! დაიწყო ისევ ონოფრემ.

— შენთან კი ერთხელ სტუმრათაც არ ყოფილა. ისე ულმერთოდ გვაძრობდი ტყავს! ნახევრად მუქარის კილოთი წარმოსთქვა ერთმა ახუცმა გლეხმა.

— შვილებო, თქვენზეა ნათქვამი სახარებაში მაცხოვრის შესახებ:— „სოფელში იყო, და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმა იგი ვერ იცნო!“

— ვიცანით, როგორ არ ვიცანით ლვდელო! ერთხმად წამოიძახა რამოდენიმე გლეხმა.

— მერე, რით გამოხატეთ თქვენი ცნობა?—ცოტა არ იყოს იმედ ანათ შეეკითხა ონოფრე.

— რით გამოვხატეთ? რითა და ჩვენი პახლურით. ხომ გაგაპანღურეთ? აწ რაღა გინდა, ტადი და ატაური ტაძრმეუა ჩვენ დაგვიტოვე, [illegible]ოლოდ შენი ცხონება შენ წაიღე საიქიოს!— ერთხმად შესძახა გაფითრებულ ონოფრეს ხალხმა.

— მაშ, თქვენ შორის ღმერთი არავის უყვარს?

— როგორ არა; და სამ ა კაცმა აუხსნა ონოფრეს სიყვარული.

— ვინ არიან, ვინა?—დაინტერესდა კრება.

გამოირკვა:— ორი ადგილობრივი მიკიტანი ყოფილიყო და ერთიც ძინწა-ჩამორთმეული მემამულე.

— ასეთი მრევლი ონოფრესთვის დაგვილოცნია! ტყუილა კი არაა ნათქვამი:—როგორიც ლვდელი, ისეთი მრევლიო!—მხიარულათ წარმოსთქვა ერთმა.

— მაშ თქვენ არაფერს მომცემთ, არ შემინახავთ? ამოოხვრით იკითხა ონოფრემ.

— როგორ არა, თითო კოდ პურს მოგართმევთ, ოღონდ.. მოგვშორდი და შენი საკაცია ი მრევლიც თან გაიყოლე! გაიოხუნჯა ზოგიერთმა.

ონოფრეს ცხვირი ცარიელ სიცრცეში ჩამოეკიდა, ხოლო იმედი ორი მიკიტნისა და ერთი ყოფილი მებატონის ბარაქას დასტრიალებდა.

*

მამა ონოფრეა იოვის დაარეკია.
დაიწყო წირვა.

უპატრონო ეკლესიას სიცალიერე დაპატრონებია

ბოხი ხმით იწყებს წირვას ონოფრე.
ხპაწვრილობს დიაკონი უქმელაძე, მხოლოდ მნათეს თავი ეკლე იის შეთეთრებულ თაღს ჰაგონებთ.

იწყებს ონოფრე:

— კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი!

— ულმერთო კუჭი, რომელიც საჭმელით არაა ნაკურთხი! ღრმა ამოოხვრით გაიფიქრებს დიაკონი უქმელაძე.

— შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით ხოვედით!

— ბალშევიკებისთანა ურიაარი და ურწმუნო ხალხი მეორეთ მოსვლის დროსაც არ მოვა! კვლავ მწარე ფიქრებით ათოიოხრებს სოფლის დიაკონი.

— რაც თუ შენ ხარ კაცთ ოყვარე! განაგრძოპს ონოფრე

— მე არ ვიცი ვინ უყვარს იმ დალოცვილს, მაგრამ დიაკვნები რომ ძულებია ამას ჩემი კუჭიც ამოწმებს!— არ ეშვება ფიქრებს დიაკონი.

— მრწამს ერთი ღმერთი! იძახის ონოფრე.

— მამაო, ღმე თი კაოგია, მე აცვალე მის მაღლს, მაგრამ საჭმელიც რათ დაგავიწყდათ—დეილოცოს მისი სახ ლი!—ჰწარედ ამოიკვნესებს დიაკონი უქმელაძე და ნახევრად შეშინებული კილოთი მიმართავს მამა ონოფრეს.

— კათაკმეველნო განვედით! დაიღრიალა გამწარებულმა ონოფრემ.

— მაგიათანა იოლი ჩემთვის ნეტა გაძლომა იყოს! სახე გაბრწყინებულათ ჩაილაპარაკა დიაკონმა უქმელაძემ და არხეინათ გაუდგა გზას.

სდუმდა ცარიელი ეკლესია.

სდუმდა მამა ონოფრეც, რომელსაც სამაოცვლიანი მრევლი დიდი ხანია დაკარგოდა და ეხლა დიაკონიც გვერდზე გაუდგა.

ზიპო.

## ქალაქ ოზურგეთში ვერაგულად მოსჭრეს და შეშად დააპეს ძველის-ძველი ასწლოვანი

# ცაცხვი,

რომლის მოჭრამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია ადგილობრივ მცხოვრებთა შორის



აწ აღარ არის ჩვენი ცაცხვი, ცაცხვი მშვენება...
ვინც იგი მოსჭრა,—წყევლა, კრულვა და შეჩვენება.

ცაცხვის არ დარჩა არც სურათი, ასლი, დედანი...
დაქვრივ დაობლდა ოზურგეთი და მოედანი.

ო, ჯალათებო. ეს რა ჰქენით თუ იცით თქვენა?!
ვის მოგაყენა თქვენ ამ ცაცხვმა ზიანი, წყენა?

რად დაივიწყეთ, უმადურნო, როცა მის ძირად
შეყვარებულთა პაემანი თქვენ გქონდათ ხშირად?!

მისი მოჭრა ხომ თვით თქვენთვისაც იყო ზიანი?
— მაგრამ, რეგვენნო, თქვენ არა ხართ ადამიანი.

დღეს მას დასტირით ოზურგეთში დიდი, პატარა,
ქალვაჟთა წყვილი, რომ ცაცხვის ქვეშ „დრო გაატარა“.

:—

არავინ უწყის: თვითონ გახდი თუ სხვამ დაგრგო
ეს უვიცობა გვაპატიე, შენ ჩვენო კარგო...

აწ კი მოვიწვევთ ფილოსოფოსთ და პროფესორებს,
მათ შორის ერთი ამ ნაკლს მაინც გამოასწორებს.

გვეყოლინება შენი საქმე და ისტორია;
(წიგნი გამოვა ალბათ შენზე ტომი ორია).

მუხანათურათ მოგისაჯეს მოჭრა-დაპობა,
არ გაუმართავთ საბჭოშიც კი კამათი, ბჭობა!

უკალეგიოთ ალბად ერთმა ასე ინება...
(აწ კი ჩვენ ვიცით მისი მტრობა, მისი გინება)

—:—

ყოველთვის იყავ ქველმოქმედი, საწყალთ შემბრალე...
ცივი თეატრი შენ გაათბე, შენ გენაცვალე...

„აწ კი მშვიდობით სამუდამოდ სულის სიმშვიდე“...
ჩემი მტერია,—აწ შენ ისევ არ ამოხვიდე.

ტოქსინი.

# წკიპურტები

პირველი:—რა განსხვავებაა გამფლანგველსა და ფულს შორის?

მეორე:—ერთი ფლანგავს, მეორე იფლანგება!

პირველი:—რა კავშირია?

მეორე:—ფული აჯენს, გამფლანგველი ჯდება!

---

პირველი:—მოხსენებაზე იყავი!

მეორე:—ვიყავი?

პირველი:—რა წამოიღე?

მეორე:—რის წამოღებაც შეიძლებოდა!

პირველი:—მაინც?

მეორე:—თავი!

პირველი:—დიდი ბარაქით წამოსულხარ, შენ თავს გეფიცები!

# ფოთი

ნახუტურს—ფოთის უბანსა,
ჩვენი ქალაქის მშვენებას,
სადაც რომ კუდი მიაწყდა
კონკისა გზისა შენებას...

სადაც რომ გერა მამაო
მაძღარი არის თუ შია,
პირში ნერწყვისგან გამშრალი
საკურთხის მოლოდინშია...

სადაც ამბაკო ტირილით
ციებისაგან წვალებულს
აგზავნის საიქიოში
ხან ცოცხალს, ხან მიცვალებულს...

სადაც ცემით სოფიომ
რძალს ჩაუმტვრია კბილები...
სიყვარულსა [illegible]
უწონებს გაუშვილები..

სადაც სონია ამ წელში
მეცხრეჯერ გუშინ გათხოვდა...
ოთხი შვილები მზითვად ჰყავს,
მეტს რომ არავინ მოსთხოვდა.

სადაც გლეხკომის კრებაზე
საკითხს დასვამენ ახალსა,
განხილვას ვერ აბერხებენ,
ასტეხენ აყალ-მაყალსა,—

აი, ამ უბანს სჭირია,
ტარტაროზ, შენი მადლია,—
და მე ვიქნები აქ შენი
ძლევენის მომტანი ნათლია.

ნახუტურელი.

# 1905 წელი პარი-



ჩემთან!



რუსეთის თავისუფლება დაიბადა ზღვაზე

## ერთი დღის თავგადასავალი

(საახალწლო პოემა პროზათ).

პირველად თინას შევხდი. დამინახა თუ არა, ჯერ კიდევ შორიდან უნდოდა ჩემთვის ხხიარულად გაეღიმებია, მაკრამ ვერ მოახერხა, რადგან ჩაშავებულ კბილების გამოჩენა არ სურდა, ორი კურდღლის კი ერთად დაჭერა არც ისე ადვილია... ეს შეგიძლიათ იკითხოთ მონადირეთა კავშირში...

მე უბრალო ადამიანი ვარ. კარგი მოქცევის კანონები ძალიან სუსტად ვიცი, განსაკუთრებით კი ის ნაწილი რომელიც მილოცვებს ეხება, და ამიტომ ასე უბრალოდ მივმართე თინას,

— ძვირფასო თინა, მომილოცნია თქვენთვის ეს ახალი წელი და გისურვებთ, რომ კიდევ ბევრს ასეთს დასწრებოდეთ!..

რა ვქნა, მე უბრალო კაცი ვარ; მეტი ვერ მოვახერხე...

თინას შეჩიხედვა კი გამანადგურებელი იყო, როგორც შვიდფუთიანი ბომბა ცეპელინიდან გადმოსროლილი.

— რა უზრდელი ხართ... რა სადაგელი!. —რათა, ძვირფასო თინა...რათა?.. ნუ, ნუ იდიხართ... ამიხსენით!..

— მე თქვენ აწი არ გიცნობთ... თქვენ სადაგელი ხართ! სადაგელი... სადაგელი... სადაგელი!. და წავიდა...

...და როცა მე ეხლა, ლამის სამ საათზე სამილიციო უბნის სამმართველოს „კუტუზკა“-ში ვზივარ, და ვიგონებ ყველაფერს ამას, ჩემი გული საშინელ მწუხარებით ივსება, და მწარე სინანულით ვამბობ:—ძვირფასო თინა, განა ჩემი ბრალია, რომ შენ დღეს ორმოცდახუთმეტი წლის გახდი, და კიდევ გაუთხოვარი ხარ?. ჩემი ბრალია, რომ შენ ასეთი გულქვითილი იყავი, და როცა დრო იყო, არავის წაავლე კისერში ხელი, და არ წაათრიე იქით, საიდან მხოლოდ ისევ „ზაგსის“ საშვალებით ბრუნდებიან?..

ო, მე რომ კარგათ მკოდნებოდა კარგ მოქცევის კანონები განა ასე მოხდებოდა? ვფიცავარ, რომ არა.. არა!.. და ცხარე კურცხალი ცვივა ჩემს თვალებიდან...

* *
*

შემდეგ ამისა ნაცნობებისკენ გავეშურე სავიზიტოთ. ყველამ კარგათ მიმიღო. ერთი ტკბილ მუსაიფით და ტკბილი გოზინაყით გამიმასპინძლდა, მეორე საცივით და ჯაგარ ღვინით, მესამე კი მაგარ... პანღურით, მე ძველი სტილით ვდღესასწაულობო...

ჩემო ტკბილო ნაცნობო, იდღესასწაულე თუნდ ტუტანკამონის სტილით, მაგრამ მე რას მერჩოდი... რისთვის დამაკარგინე დრო ტყუილ-უბრალოდ!.. რისთვის!..

...და როცა მე ეხლა სამილიციო უბანში ვზივარ და ვიგონებ ყველაფერს ამას, ჩემი სული შავ ზღვასავით ღელავს და გული განუზომელ ბოღმით ივსება...

— მიგიხვდი...მიგვიხდი, ჩემო მეგობარო!.. შენ გსურს 13 დღით გვიან დაბერდე, მაგრამ ცდებ ...ცდები!. შენ უკვე დაბერდი 13 დღით, და ფეხებიც რომ გაჭიმო ბრაზისაგან, „ზაგსი“ მაინც თა ისებურად ალნიშნავს ამას!..

* *
*

ამის შე დეგ მამიდაჩემისაკენ გავეშურე. მამიდაჩემს მე საშინლად ვუყვარვარ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთხელ მისი საყვარელი ხატები ლუმელში შევუნახე.

როგორც მოგახსენეთ, მე უხეში და გაუთლელი კაცი ვარ. და რავქნა, თუ ამაში უნიჭობა დაბადებიდანვე დამყვა?

—მამიდაჩემო, მომილოცნია შენთვის ეს ახალი წელი, და გისურვებ რომ მალე ქორწილი გაგეჩაღებიოს და მე შენს ქორწილში მაყრათ ვყოფილიყვე...

ღმერთო ჩემო, რა გულმავიწყი კაცი ვარ... ეს, ხომ მე თინასთვის უნდა მეთქვა!..

თქმა არ უნდა, რომ მე ცოტა მთვრალი ვარ... მაგრამ არა უშავს.. მამიდაჩემს ისეთაც საშინლად ვუყვარვარ. და ალბად ამ ნათესაობრივ სიყვარულის უცბად მოვარდნილ ტალ-

# კ ა ტ უ რ ე ბ ში



ძ ი რ ხ !

ღის ბრალი იყო, რომ მამიდა ჩემმა ხელი საკეცესაკენ წაიღო და...

..და როცა მე ეხლა სამილიციო უბანში ვზივარ, და ვიგონებ ყველაფერს ამას, რაღაც გაუგებარი სევდა მიპყრობს და სინანულით ვამბობ:

— მამ დაჩემო, რად დამიკარგე მე რწმენა ნათესავებისადმი...რა საჭირო იყო, ჩვენს ურთიერთ დედა-შვილურ უზომო სიყვარულში შუამავლათ რკინის საკეცე ჩაგვერდნილიყო... და ამ მშვენიერ ახალ წელს ერთი ლუკმა გოზინაყიც კი არ რგებოდეს შენგან? რად...რად?!..

განა მე მახსოვდა, რომ შენ 70 წლისა ხარ, და თინასათვის მისალოცი შენ მოგილოცე? თუმცა, გამოტყდი მამიდაჩემო, შენ ცართლა გეწყინა რამე თუ განცდილი უხერხული მდგომარეობა ჩემს გვერდებზე აინაზღაურე?!. აპირებ რასმეს?... გამოტყდი და შემიმსუბუქე სევდა!..

* *
*

შემდეგ ერთ ძველ მეგობრისკენ გავეშურე. ო, მე განგებ წავედი მისკენ ყველაზე ბოლოს. ის შინ არ დამხვდა, სამაგიეროდ მისი ახალგაზრდა ცოლი შინ იყო.

ჩვენ ბევრი ვიმუსაიფეთ... ძალიან ბევრი... ბოლოს კრიტიკულ მომენტში ქმარი წამოგვადგა თავზე...

თუმცა მე უბრალო, გულუბრყვილო ადამიანი ვარ, და ცოტა გადაკრულიც ვიყავი, ნათლად შევნიშნე რომ იმათ ეშმაკურათ თვალი უყვეს ერთმანეთს და მაგიდისაკენ მი იწვიეს...

საყვარელო, ახალგაზრდა მტრედებო.. რა გულწრფელია თქვენი ჩემდამი დახვედრა...პატიჟი... მე ვილევ ამ თქვენს მიერ ღვინით ავსებულს ჭიქას და ხმა მაღლა ვამბობ:

— თქვენ იცინით!.. თქვენ მხიარულობთ!.. თქვენ ბედნიერი ხართ ვითარცა აბრამი და სარა... და ამ სავსე ჭიქით მე გისურვებთ თქვენ, რომ კიდევ დიდხანს... დადხანს.. ყოფილიყვეთ ასეთი ბედნიერი, და თქვენი საყვარელი შვილები სიკვდილამდის არ მოსწრებოდენ თქვენს გაყრას .. ამინ!...

და მე ერთ ყლუპწათ ვუშვებ ყელში შუშხუნა ღვინით სავსე ჭიქას!.. ...და როცა მე ეხლა ფიქრებმორეული სამილიციო უბანში ვზივარ, და ვიგონებ ყველაფერს ამას, მე გაშტერებული გავცქერი სივრცეს და რაღაც სიმძიმე მადგება გულზე... და არც გასაკვირია... ჩაის ჭიქა ძმარს მეტიც შეუძლია...

რაღაც სიცივე მივლის ტანში, და ამ ახალწლის ღამეს, ფიქრების ძაფი გრძლათ იხლართება მეხსიერებაში, მაგონდება ჩვენებური საცივი, რომელიც უძმროთ არას გზით არ გამოდგება...

* *
*

ქვეყნის უსამართლობით გაბრუებული სახლისკენ წამოვედი ელექტრონით განათებული ქალაქი უცხო მხეცივით ჩამცქეროდა თვალებში. და ჩემს წინ გამართული ქუჩები ტალღებივით ადიოდენ და ჩადიოდენ...

მე ავყევი ამ ტალღებს... წინ კი აქავებული მეორე ტალღა მიათრევდა ვიღაც ლამაზ ასულს, და მე ვხედავდი, როგორ ითხოვდა იგი ჩემგან შველას... და უცბად გიჟურ სიმამაცემ გაიღვიძა ჩემში.

— ლამაზო... რა გინდოდა შენ აქ... შენ დაიღუპები უიალქნოთ ამ აბობოქრებულ ზღვაში... მაგრამ არა .. მე ვიქნები შენი რაინდი .. მე გიშველი შენ... მე წავ რთმევ შენ თავს ამ ველ ოშელ სტიქიონს!.. მე.. მე!.

... მე თავდავიწყებით გავცურე მისკენ... როგორც იქნა, ერთ შენობასთან დავეწიე, მაგრამ ის ტალღამ კარებში შეიტაცა,—შემოდით!.. შემოდით!.. მოასწრო მან ჩემთვის გადმოძახება. ჩემი ბინა იქ არის!..

მე სილამაზე მიყვარს. მაგრამ ერთი უბედურება მჭირს, ბეცი ვარ, და თუ სილამაზე ახლოს არ დავინახე, ისე იგი ჩემთვის ყოველგვარ სიმშვენიერეს კარგავს, და მეც შევედი...

შევედი და... მას შემდეგ უკან აღარ მოვსულვარ... ნუთუ ასე დასძლია ჩემში გრძნობამ გონებას?.. ო, არა... არა.., ჩემი გრძნობა აქ რა შუაშია, თუ სირინოზის ბინა სამილიციო უბნის სამმართველო გამოდგა.

... და აი, ეხლა ვზივარ მე ამ სამილიციო უბნის „კუტუზკა“-ში ჩემს ახალ მეგობრებთან ერთად, და სხვადასხვა შემზარავი აზრები ტრიალებენ ჩემს თავში:

— რად გასთელეს ასე უხეშად ჩემი კეთილშობილი აზრები .. რად ამოსვარეს იგი წუმპეში!.. რად... რად!.. სად არის.., სად, სამართალი?.. სად ვეძიო მე იგი...

მე მინდა ყვირილი... მე მინდა და შემზარავ ყვირილით გავაყრუო მთელი ქვეყანა... მაგრამ გულზე რაღაც მაჯლაჯუნასავით მაწვება და არ მეშვება... ჩემი ყელიდან კრინტიც კი არ იძვრის.

სინემატო.



# საკურთხეველში




**ღიაკონი** (ასხამს ღვინოს)

ღვდელო გეყოფა თორემ დათვრები—
და აგერევა თავში დავთრები.

**ღვდელი**

დაასხა ნუ გეზარება
ეს არის ხომ ზიარება?

**ღიაკონი**

წირვას ვერ შესძლებ ხუცესო,
თავს დაგესხმება რეტია.

**ღვდელი**

ნუ გეშინია,—ბაკალში
არ ჩადის კვარტზე მეტია.!

# ქუთაისურ მორწმუნეთა კრება

„ამას წინათ ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიაში გაიმართა ამ რაიონის მორწმუნე საზოგადოების კრება, საეკლესიო საქმეების შესახებ. ამ კრებას თავმჯდომარეობდა ქუთაისის სამაზრო აღმასკომის წევრის მამასახლის გამგე ნ ი კ ო ა ვ ლ ე დ ი ა ნ ი. საინტერესოა ვიცოდეთ თუ, რა აქვს საერთო აღმასკომის გამომცემლობას მღვდელთა კრებასთან„

მუშკორი კ ი კ ნ ა.



ნიკო: — შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მივედით!

მორწმუნეთა ხორო: — აააამინ!

ნიკო: — მოვიხსენოთ უკეთილმსახურესი მალაზია ჩვენი, უპატიოსნესი ქათალიკოსი მბრონი, უწმინდესი დეკანოზი დოლაბერიძე! ყოველნი მღვდელნი, მღვდელთა მიერ დიაკონნი და ყანათლების განყოფილების ქრისტიანები ქრისტესა, ღმერთსა ჩვენსა შევვედროთ!

ხორო: — და ხულისაცა შენისაათაანა!

ნიკო: — წმინდა არს სახელი უფლისა, ხოლო შემოსავლიან წიგნის მალაზია აწ და მარადის და უკუნითი უკუნისაამდე!

ხორო: — აააამინ!

# პოლიკარპეს ტორმაზები

მთელ ღამეს პოლიკარპეს ძალიან ცუდათ ეძინა. ხან ამბულატორიის ბინის ექიმი ესიზმრებოდა უშველებელ მარწუხით ხელში და ხან კიდევ წითელი და მოკლე, მაგრამ მრისხანე რეზოლიუცია, რომელსაც პოლიკარპე საკმაოდ გარკვევით არჩევდა სიზმარში: „საქმეებში ქალალდების მიმკერებელი პოლიკარპ პოლიკარპიძე შეკვეცილ იქნას როგორც უსტიერო ამ საქმეში“...

ითხულობდა პოლიკარპე (სიზმარში) ამ რეზოლიუციას, და ნანობდა, რატომ მშობლებმა ის თერძათ არ გამოზარდეს,

ასე თუ ისე, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ეს სიზმარი აღმოჩნდა, და დანიშნულ დროზე პოლიკარპე სამსახურში იყო. კარგა ხანს უქმად იჯდა და არც ეინელებოდა ეს, რადგანაც ამაში საკმაო გამოცდილება ქონდა მიღებული, მაგრამ ბოლოს შეატყორა, რომ ამ საქმეში კიდევ უფრო ეტი სტაჟის მიღება ახალს არაფერს შემატებდა, დაავლო მეზობლის გაზეთს ხელი და დაუწყო თვალიერება. მისი თვალები ვიღაც გამომგონებლის სურათმა მიიპყრო. იქვე მოთავსებულ წერილში მან ამოიკითხა, რომ ამ კაცს ისეთი რამ გამოუგონია, რომელიც ყირაზე დააყენებს თურმე მთელ ტეხნიკას.

წაიკითხა ეს პოლიკარპემ და საშინელი შური შეეპარა გულში.

— ნუთუ, სთქვა მან მწუხარებით, მთელი ეს ჩემი მრავალფეროვანი სიცოცხლე ისე გაივლის, რომ ერთ მციროე რამესაც კი ვერ გამოვიგონებ?...

ურმა მთელი კორიანტელი დააყენე ძის გულში. დააგდო გაზეთი ისევ თავის ადგილას და აწეწეხილი მაგიდას მოუჯდა. მას უკვე აღარ აინტერესებდა დაგროვილი მისაკერებელი ქაღალდები. მისი ფიქრები შორს იყო

— ნეტავ, დარჩა კიდევ გამოსაგონი რამე ამ ქვეყანაზე? ფიქრობდა იგი. ყველაფერი გამოგონილია...

ჰაეროპლანი... გამოგონილია...

გრამოფონი .. გამოგონილია...

საბეჭდი მანქანა... გამოგონილია...

ტრამვაი... გამოგონილია...

სამსახურში მოსვლის სარეგისტრაციო ჟურნალი — გამოგონილია...

მაშ, რაღა დარჩა კიდევ... რა... რა...

ასე იმტვრევდა თავს პოლიკარპე, და ის კი არ იცოდა, რომ რამოდენიმე წუთის შემდეგ მის თავში დაიბადებოდა გენიალური აზრი

თუ როგორ დაიბადა ეს გენიალური აზრი, ეს გენიოსს გამომგონებელთა ტვინის საიდუმლოებაა, მხოლოდ, თუ რაში მდგომარეობდა იგი, ის აღნიშნული იყო ერთ-ერთ გაზეთში:

ჩვენს გამომგონებელთა რიცხვს შეემატა კიდევ ერთი ჯანლონით საესე ახალგაზრდა გამომგონებელი პოლიკარპე პოლიკარპიძე, მისი უკანასკნელი გამოგონება გვაფიქრებინებს, რომ უდიდეს ტვინთან გვაქვს საქმე. ის მომავალი ედისონია, და დარწმუნებული ვართ გაამართლებს ამ ჩვენს იმედებს. ჩვენ არ ვიცით დარწმუნებით, თუ რაში მდგომარეობს ეს მისი პირველი გამოგონება, რადგან ეს ჯერჯერობით გამომგონის საიდუმლოებაა, მაგრამ ის მცირე

# როგორია ოჯახში



მამის კუთხე



ბაბუას და ბებიას კუთხე

ცნობები, რაც თვით ამხ. პოლიკარპემ მოგვაწოდა, საკმაო შუქს ფენს ამ გამოგონებას, ეს გამოგონება, ჭეშმარიტად, ნამდვილი კაზანცევის ტორმუზია, გამფლანგველობის ჩქარ მსვლელობაში.

მდგომარეობს იგი შემდეგში: დააჯენენ გამოსაცდელ პიროვნებას მაგიდასთან. ერთ მხარეზე დაუდებენ რამოდენიმე ათასს მანეთს. (რამდენათაც მეტი იქნება თანხა, მით უკეთესია), ხეორე მხარეზე ოფიციალურ ქაღალდს, რაც გინდა ჰქენით.

გამოსაცდელ პიროვნების სულიერი მდგომარეობა მექანიკურად აღინიშნება განსაკუთრებულ მანქანაზე შეუწყვეტლივ ერთი წლის განმავლობაში, და თუ ამ მცირე დროში აღნიშნული რამოდენიმე ათასი მანეთი მშვიდობიანად შეხანხლა, მაშინ აპარატი დარწმუნებით უჩვენებს, რომ ეს პიროვნება გამფლანგველია, და შეიძლება მისი სამართალში მიცემა...

აი ასეთია ეს გენიალური გამოგონება, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამეურნეო ორგანოები ფართო მასშტაბით გამოიყენებენ მას..

ამნაირად პოლიკარპე გამომგონებელი გახდა, და იმ დღიდან მისი მდგომარეობა ერთიანად შეიცვალა.

იყო იმ დაწესებულებაში გამგე. სრულიად ჩვეულებრივი გამგე. კაბინეტიც ჰქონდა და პორტფელიც. როგორც მოგეხსენებათ, გამგისთვის დღეს ეს ორი საგანი პირველ-მოთხოვნილების საგნებია, და არც უარვყოფთ ამას. გამგეს, რომელსაც პორტფელი და კაბინეტი არ აქვს, უკაცრავად პასუხია, უკანასკნელი 60 წლის მეძანქანე ქალიც კი არ მიაქცევს ყურადღებას, და ახიც იქნება მასზე.

ჰო—და, იჯდა ეს გამგე ერთხელ თავის კაბინეტში და გაზეთს კითხულობდა, და როცა ზემოთ მოყვანილი წერილი წაიკითხა თმები ყალყზე დაუდგა.

ამ მოვლენას, თუ როდისმე საქმე გამოსაძიებლად პროკურორამდე მივიდა (ცხადია საქმე თვითონ ვერ მივა, საჭიროა მისი მიყვანა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით მიტანა) დაამტკიცებს რეგისტრატორი ქალი, რომელიც შემთხვევით, სრულიად შემთხვევით, იმ დროს კაბინეტში იყო და გამგის პორტსიგარიდან პაპიროსს იღებდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ მოვლენას კი დამტკიცება არ სჭირდება, რადგანაც ეს აქსიომაა, რომელიც უკანასკნელ პიონერმაც კი იცის.

— როგორ,—სთქვა გამგემ მრისხანეთ,—ჩემს ხელქვეით დაწესებულებაში, ჩემს ხელქვეით მყოფი ვიღაც ქაღალდების მიმკერებელი ჩემზე უფრო მეტ ჭკუას ჩემობს, და ასეთ საძაგელ რამეებს იგონებს?! არ მოვითმენ!—დააბაკუნა ძან ფეხები...

საერთო კანცელიარიაში კი ამ დროს სახელგანთქმული პოლიკარპე ჰყვებოდა თავის გამოგონების ისტორიას.

სამი წელიწადია მე ამაზე ვმუშაობ. ღამე ძილი არ მიკარებია ჩემს თვალებს. ცდებისათვის მთელი ერთი წელიწადი შემიწირავს, ჩემი აპარატი დადგმული მქონდა წარმოკავშირში, და შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. თუმცა ამ ცდების მოსახდენად გაიფლანგა რამოდენიმე ათასი მანეთი, მაგრამ სამაგიეროდ ხუთიოდე კაცი ეხლა ჩვენს ხელშია..

უსმენდენ ახალგაზრდა გამომგონს, და წყევლიდენ ბედს, რომ წარმოკავშირთა ახლო კავშირში არ იყვნენ...

რამოდენიმე დღის შემდეგ დაწესებულებაში ასეთი ბრძანება გამოვიდა:

საქმეების მიმკერებელი პოლიკარპ პოლიკარპიძე შეკვეცილ იქმნას, როგორც უსტაური ამ საქმეში, და მის მაგივრად მოწვეულ იქნას უფრო გამოცდილი მუშაკი...

როდესაც აღშფოთებული პოლიკარპე თანამშრომლებს ემშვიდობებოდა, გულის გასამაგრებლად ასე სთქვა:

— ჩემი ვარსკვლავი არ ჩამქრალა. იგი ისევ ისე ძლიერად კაშკაშებს, როგორც ვარსკვლავი სობოროს თავზე, და ჩემს სახელს კიდევ მალე გაიგონებთ!...

ასე დალუპეს პოლიკარპე მისმა ტორმუზებმა, და თანახმად ბრძანებისა, როგორც გამოცდილი მუშაკი, მის ადგილას მოწვეულ იქმნა პროფესიონალური თერძი, რომელმაც შრომის მეცნიერულ ნიადაგზე დასაყენებლად საკუთარი ზინგერის მანქანა მოიტანა დაწესებულებაში და იმით აკეთებს ეხლა საქმეებს...

**ხინტო.**

# „კ უ თ ხ ე ე ბ ი“



ვაჟის კუთხე



დიასახლისის კუთხე

## რაჭიდან

მოგესალმები, ტარტაროზ,
დიდო, მაღალო, სვიანო;
გთხოვ ჩვენს პატარა რაჭაში
მოსვლა არ დაიგვიანო.

———

მინდა რომ შენი სტუმრობით
ბნელეთი გაამზიანო,
და მოწყენილი სოფლები
სიმღერით ახმიანო.

———

აქ კიდევ ფახაფუხობენ
მღვდელი და აზნაურია;
სოფელს აწუხებს მსუნაგი
ელოხაიმა ურია.

———

მიეფერება გლეხებსა,
როგორც მშიერი მურია;
(ასე ჰგონია: სუყველა
იმისი შინაურია).

———

უპირველესად ყოვლისა
მინდა გაგაცნო ონია;
(ალბად ასეთი ქალაქი
შენც კარგად გაგიგონია).

არის თეატრი და კლუბი;
ნიკალა რეჟისორია
მსახიობები ჯიუტი
როგორც „ივანეს ჯორია“.

———

ნიკალა დაჰკრის ქალებ ი.
როგორც ჩიტებში ქორია,
და მუდამ ახალ-ახალი
ცხვება რადიო-ჰორია.

———

მღლეტელ მიკიტანთ რაზმები
ასეთი არვის ჰყოლია;
უსტაბაშია ამათი
ღიპგაბერილი კოლია.

———

ხრიხწიან ხმებით ქუჩაში
ისმის მთვრალების ღრიალი:
„დალიე, დამალევინე
„ეს ღვინო ოხერ-ტიალი“.

———

ჩე ო ტარტაროზ! გავიგე.
შენ ხარ ამათი მტერია—
და შენი მძლავრი ტორებით
ადინე ზურგზე მტვერია.

ტუხუნიკა რაჭველი.

## „ჯოჯოხეთის კუთხე“

### წინათქმა

— შენ გაგიხმეს თავი—
ბევრი იტყვის ამას!
(და აქ დაიწყება:
ტრაღედია—დრამა).
— შენ მოუკვდი დედას;
საიდან რას ჩხრეკავ—
(ისეც გული ღელავს,
ისეც გული რეკავს).

— ეს ვინ ოხერია,
რომ თავზე გვცემს მეხებს—
(ერთი მომცა ხელში,
დაუმოკლებ ფეხებს).
— საძაგელი!.. როგორ
დაგვიკარგა მადა—
(ცეცხლი იმ კუთხესა,
სადაც დაიბადა)—
ვინ ჩამოთვლის იმას,
იტყვიან თუ რასაც—

„ჯოჯოხეთი“ ჩვენი,
აშინებს დღეს ცასაც.
ფრთხილადl გაძლევთ ნიშანს
მოითმინეთ ცოტა!
ვამბობ: არ ვწერ დეკრეტს,
არ ბრძანება—ნოტას
„ჯოჯოხეთის კუთხე“
ლამპარია დილის!
შიგ და გარეთ—ყველგან,
ჩირაღდანით ივლის.
მისი კალი მძლეა,
ვით ფოლადი, რკინა!
(ვგრძნობ: ამ სიტყვამ რაღაც,
ძალზე შეგაშინა).
მწერლობაში იგი
საჭიროა უფრო,—
რომ სიწყნარე, რიგი,
ყველგან დავაუფლოთ.
ჩვენ გვექნება მკაცრი:
კალამი და ზომა!
(ვიცით წინ წაწევა—
(არა უკან დგომა).
და დღეიდან გავშლით,
მაგრად ფრთას და კუნთებს—
და შემდეგში ნახავთ:
„ჯოჯოხეთის კუთხე“-ს!—

კბილდაკრეჭილი.






## დროზე მიხედეთ!

ნამეტანი ზანტი ქალაქია ზესტაფონი. ჭამას რომ სხვაგან თვეებსაც არ ანდომებენ, ზესტაფონში წლები სჭირდება. მოუსმინეთ მუშკორს „ლამურას:—

„ერთი წელია რაც „ზაკტპომ სადგურთან გახსნა ბუდკაო,
შიგ დააყენა მინაგო, ჯამში ჩაუგდო ლუკმაო,
აღარ დასცალდა სულ შეჭმა, კანტროლი ჩამოუვიდა,
ათას ხუთას მანეთამდე შეჭმული გამოუვიდა“.

მართალია 1500 მანეთი კარგი მოზრდილი ლუკმაა, მაგრამ მაინც ერთი წელი რავა მოანდომა მინაგომ მის შეჭმას?

სწორედ ამიტომ სასჯელიც ღირსეული მიუღია:

„ბუტკიდან გამოაბრძანეს, ან ნეტავ რა მოუვიდა?“



საკვირველი საქმეა:—ბუტკიდან თუ გამოაბრძანეს, მართლაც რა მოუვიდა? სხვაგან ხომ არსად მიუბრძანებიათ? „ზაკტპოს“ გამგეობავ, დროზე მიხედეთ უბედურ მინაგოს—გზა არ შეეშალოს და ვირის აბანოს გვერდი არ აუაროს!

## ჭაინც არ გათენდება

ვის რა აწუხებს?

— გერმანელ მეფეს ტახტიდან გადაგდება, ხოლო ნატანებელ „ლექრას ბზიკს“ ის, რომ:

„თუ იახულებ ნატანების მიკიტნებს,
აქ ნახავთ მამა დიმიტრეს—
ეკლესიის მაგივრად დუქანში
გალობს, უყივლებს!“



რას სწუხარ ამხანაგო „ლექურას ბზიკო“, გარწმუნებთ—„მამა დიმიტრემ“ სადაც არ უნდა იყივლოს, ეკლესიისათვის და მღვდელ-დიაკვნებისათვის მაინც აღარ გათენდება!

## კვანტის ხალხი

— იყო გურჯაანს კლემენტი—კვერენჩხელაძე სვიანი, მეთაურობდა ადგილკომს პასუხისმგები მდივან ი“

ასე იწყება პოემა კლემენტიზე და ასე ათავებს მას „ტარტაროზის კუდის წვერი“:

„ფული არ ეყო კლემენტის სატრფოსთან სასუსხავადა,
და ხელი გაჰკრა „ხოზნალოგს“—ვერ გამიგებენ ავადა,
როს სამფინგანი დაატყდა—ფული მოიტა ჩქარადა!
„ეპო“-ს მუხლმოყრით ვევედრის, მიშველეთ რამე გვარადა!“

გამოირკვა: გურჯაანში გულქვა „ეპო“ ყოფილა და არ მიშველებია საწყალ კლემენტის, მაგრამ „კეთილი ხალხი“ ქვეყნათ რამ დალია—ვიღაც გულმოწყალე მიშველებია ჩაგრულ კლემენტის და იგი... სიღნაღის ხაზინის ბუჰალტრათ გადაუყვანიათ!

ამ ამბავს ასე სწერს „ტარტაროზის კუდის წვერი“:

— „კლემენტი სიღნაღს გადაჰყავთ, სიღნაღ საკენ გაქანდათან წარიტანა „მესტკომი“, მისი ფულებიც გაკვანტა!“

იმერელი კვანტი გვ მენია, გო ირიძის კვანტი გაგვიგონია, მაგრამ სიღნაღელ კლემენტის კვანტს დღეს ვიგებთ!

იქნებ სიღნაღში სხვაცაა, რომ კვანტი იცოდეს?

თუ ასეთი აღმოჩნდეს—კლემენტი ცოტა „გაკვანტოს“, მაგრამ მიწაზე ნუ წააქცევს, „თბილ ადგილზე“ დააჯინოს!

## ტყუილა არ თქმულა

— ეჰ ცხოვრებავ, რაშიგან ხარ, რას მაბრუნებ რა ზნე გჭირსა!—



ასე დაუბრუნებია ცხოვრებას კომკავშირელი სარქის ბეჟანოვი... მეხილე ვაჭართან.

„პინჯველას მურაბა“ გვწერს:—

„ველისციხეში კომკავშირის წევრმა სარქის ბეჟანოვმა, რომელიც კომკავშირში 1923 წლიდან მუშაობდა, თავის ნებით დაანება თავი კომკავშირს და ამხანაგათ გაუხდა 80 წლის მეხილე ვაჭარს საქუას“.

# უწინ და ეხლა




გლეხი ღვდელს:

— მომხედე მამაო, ღარიბსა და მშიერს!

ღვდელი:

— ითმინე და ღმერთი მოგცემს, შვილო!

ღვდელი: გლეხს

— ომხედე შვილო ღარიბსა და მშიერს!

გლეხი ღვდელს:

— მოთმინებითა შრომითა მოიპოვე პური შენი, მამაო!



ძეხილეობ.! შესაფერი და მოსაგებ საქმე აურჩევია სარქის ბეჟანოვს! დახამდვილებით ამბობენ—ზოგიერთ ხილი, ზოგიერთ კომკავე ირელზე გვიან ლპებაო! თუ და პალ ბეჟანოვს ხი ი დაპა ი არ შეხვდა, რა უჭირს, თვითონაც მოიგებს და „კამპახი " საქალასაც მოაგებინებს!

ტყუილა არ უთქვამთ ველისციხელ ებს:

— ის. ურჩევნია მა ულსა,
რომ სარქ ს ჯობდეს საქულსა!

## ხელმძღვანელს უხელმძღვანელეთ!

ამერიკაში აო გეგონოთ, ქუთაისის მაზრაშია გოდოგანის თემი, რომელსაც ყავს თავისი თემალმასკომის თა მჯდომარე, სიმონ გვენეტაძე. როგოო მოღვაწეობს სიმონი? მისი მოღვაწეობის ერთ ამბავს გვწერს მუშკორი „კოდარია“:

„კვირა ღამეს ცამეტ რიცხვში მოხდა ჩხუბი საშინელი,
გადიოჯა გლეხებს სისხლი ვით მილი წყალსადენი.
გვენეტაძე ჩვენი სიმონ, თავმჯდომარე გოდოგნელი,
ვაჟკაცურათ გამოვიდა, ჩახდა ჩხუბის ხელ ძღვანელი.
აღმასკომის თავმჯდომარე ასე ღვინით გალეშილი—
ჩხუბებს ხშირად მეთაურობს. დანაცა აქვს გალესილი!“

ეს ამბავი მოშხდარა ლადიმერას უპატენტო სამიკიტნ შე! ამას ქვია:

— უპატენტოთ ვაჭრობა და უბა-ქოთ ,ემა!

## „განათლებული“ ხალხი!

რა კაია სწავლა ე დასალუპავი! განათლებულ, ნასწავლ ადამიანთან ლაპარაკს არაფერი ჯობია.

მუშკორ თ—ძეს სიტყვით:

„13 დეკემბერს სამტრედიიდან ფოთამდე მატ. № 9 მგზავრობდა მე ანქანე ფ უ ტ კ ა რ ა ძ ი ს ქ ლი. მას ქონდა ერთდროული ბილეთი, რომელიც ყალბი აღმოჩნდა. რევიზორმა მოინდომა ბილეთის ჩამორთმევა, ამ ქალმა კუდი ყავარზე გადვა და მუქარას მიმართა:

— Я вам покажу, вы не знаете свою обязанность“.

მართალია მემანქანე ფუტკარაძეს ქალი კუდაბზეკილი ყოლია, მაგრამ მაინ ; რათ ღირს ასეთ განათლებულ მანდილოსანთან ბაასი: — საბუთებს ქართულათ გაა ;ალბებს, ხოლო მუქარით რუსულათ დაგემუქრება! ყოველ ;ემახვევაში შორაპნის ადგილკომმა უნდა გამოარკვიოს თუ რა გემოს თაფლია ფუტკარაძის ყალბი საბუთი!

## წარმოკავშირის შემოქმედება შემოქმედში

შემოქმედის თემში შემოქმედებას ვერ დაუწუნებთ წარმოკავშირის ადგილობრივ განყოფილებას! როგორც „გლეხი“ გადმოგვცემს:

„ხსენებული განყოფილება ყველას ეტანება, რაც მისი საქმე არ არის, ხოლო ამავე დროს მის პირდაპირ დანიშნულებას არ ასრულებს: არ მოუწყვია არც ერთი საცდელი მინდორი. არ მოუშენებია ჯიშიანი საქონელი და სხ.“

გულუბრყვილოა ამხანაგი „გლეხი“ თუ ფიქრობს, რომ ასეთ უჯიშო ორფეხებს ჯიშიანი საქონლის. მოშენება შეეძლოს!




რანი ვიყავით, დღეს კი რანი ვართ!?
ო, შედარება ვის ძალუძს ამის?
იყო დრო როცა არა გვახსოვდა
სხვა არაფერი, გარდა სმა-ჭამის;

თუმცაღა ეხლაც ჩვენ არა გვახსოვს
სხვა არაფერი გარდა სმა-ჭამის,
მაგრამ საჭმელი არავის მოაქვს
— და პატრონი ვართ ცარიელ ჯამის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. თბილისი, კამოს ქუჩა, № 68.